<u>მიმართვა</u>

საქართველოში პოლიტიკური კრიზისია. აშკარაა პროცესების ესკალაციისა და რადიკალიზაციის სახიფათო ტენდენცია. გაუაზრებელმა ნაბიჯმა ან პროვოკაციამ შეიძლება მთლიანად ამოგვაგდოს სამართლებრივი ჩარჩოებიდან და უმართავი პროცესები გამოიწვიოს. სამწუხაროდ, შიდა და გარე საფრთხეების გათვალისწინებით, რისკი ფრიად დიდია.

ასეთ ვითარებაში როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციურ ძალებს მოეთხოვებათ მაღალი პასუხისმგებლობა. პროცესების კონსტრუქციული გზით განვითარების პასუხისმგებლობა პირველ რიგში ეკისრება ხელისუფლებას.

შექმნილ ვითარებაში ვაცხადებთ, რომ:

- ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია ძალადობა როგორც ხელისუფლების შენარჩუნების, ისე ხელისუფლებაში მოსვლის ინსტრუმენტი;
- უნდა შეწყდეს დაძაბულობის ესკალაცია, ადმინისტრაციული ორგანოების გამოყენება პოლიტიკურ ოპონენტთა დისკრედიტაციის მიზნით;
- უნდა დამყარდეს ურთიერთობა ხელისუფლებასა და ოპოზიციურ ძალებს შორის ძალადობის თავიდან ასაცილებლად;
- ვადასტურებთ ჩვენს მზადყოფნას, ხელისუფლებისა და ოპოზიციის სურვილის შემთხვევაში, მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ აღნიშნულ პროცესში, ამ მიზნით აქტიურად ვითანამშრომლოთ დასავლელ პარტნიორებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან;
- მზად ვართ ამ საკითხში გავითვალისწინოთ მისი უწმინდესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია-II-ს აზრი .

25.03.2009